ადამიანებით ვაჭრობა მონებით ვაჭრობის თანამედროვე ფორმაა. სიღარიბე და დაუცველი ყოფა, ეკონომიკური და პოლიტიკური ძნელბედობა აიძულებს ადამიანებს, დატოვონ სამშობლო და უკეთესი ცხოვრება ეძიონ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძიება ჯოჯოხეთში მოგზაურობა შეიძლება გამოდგეს.

ადამიანებს ექცევიან როგორც გასაყიდ ან შესაძენ ნივთებს, მათ უწევენ ყველანაირი ფორმის ექსპლუატაციას, ჩვეულებრივ, იძულებით აბამენ **სექსუალურ ინდუსტრიაში** ან იძულებით შრომაში **ეკონომიკის** სფეროშიც - მაგალითად, სოფლის მეურნეობასა და ოფიციალურ თუ არაოფიციალურ „სვეთშოფებში[1]" - და კაპიკებს თუ გადაუხდიან ან სულაც არაფერს მისცემენ. ყოველდღიურად ვიგებთ შინაურ პირობებში მონობის ამბებს, როდესაც კერძო ოჯახებში მომუშავე ადამიანებს ცუდად ეპყრობიან, ამცირებენ და დაუშვებლად დიდი დროის განმავლობაში ამუშავებენ. ნებისმიერი ადამიანი - მამაკაცი, ქალი თუ ბავშვი - შეიძლება მიიტყუონ და ტრეფიკინგის მსხვერპლად აქციონ.

ტალინას, ფაბიას, ივოს, ანასა და სოფიას ამბები ექსპლუატაციის ყველა აღნიშნული ფორმის ილუსტრირებას ახდენს.

ევროპის საბჭოს, რომლის უპირველესი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა და უზრუნველყოფა, განზრახული აქვს, ამ ამბების მეშვეობით გააფრთხილოს არსებული საშიშროების შესახებ თავისი 46 წევრი სახელმწიფოს მოქალაქეები. ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლა ორგანიზაციის ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ტრეფიკინგთან საბრძოლველად ევროპის საბჭომ უკვე განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება პოლიტიკურ და სამართლებრივ დონეებზე. უკანასკნელი ამ ღონისძიებათაგან **ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის** მიღება იყო. იუმორისტული მოთხრობა, რომელიც თქვენ ხელთ გაქვთ, ტრეფიკინგთან ბრძოლისა და მის მსხვერპლთა დაცვის საქმეში ევროპის საბჭოს მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

1. ნებისმიერი წარმოება, რომელშიც ხდება მძიმე შრომის ექსპლუატაცია ძალზე დაბალი ანაზღაურების პირობებში.



# ცალინა

სიუჟეტი №1




გამარჯობა, საყვარელო, რა გქვია ?
რაღაც მაღალი მეჩვენები! რამსიმაღლე ხარ ?
... თმა უკან გადაიწიე და შემახედე ...
ზუსტად იმ ტიპის გოგო ხარ, მე რომ ვეძებ ! დაუჯერებელია ! იცი, უამრავი ფულის შოვნა შეგიძლია მოდელად მუშაობით და მერე ცხოვრებას მოგზაურობაში გაატარებ !..
აგერ ჩემი ბარათი, უთხა-რი შენს მშობლებს, დამი-რეკონ, რომ ყველაფერზე მოვილაპარაკოთ !
MIELKSI
agent de mannequin
- 2535-36


დედა, დედა ! მოდელი უნდა გავხდე !!!
რაღაც მაინცდამა-ინც არ მჯერა, შვილო ...
მართლა, მართლა! ის კაცი **ტონობით** ფულს დამპირდა და უამრავ მოგზაურობას !
ოო ...! მე მას ვიცნობ ! ბოქანია, ჩემი უფროსის შვილი ... შეგვიძლია ვცადოთ და დავურეკოთ !
ვაშააა!!!
გამარჯობათ, ბოქანი ბრძანდებით ?
დიახ ?!
ბოქანი მოვა და შეგვხვდება ამ საღამოს !


აგერ, მოვიდა !!!
კაკ კუკ
საღამო მშვიდობისა.
ქალბატონო, ნება მიბოძეთ, ეს მცირედი საჩუქარი მოგართვათ ...
თქვენს ქალიშვილს ისეთი მონაცემები აქვს, რაც ტოპ-მოდელად აქცევს ... მართალია, ცოტა ახალგაზრდაა სახლიდან წასასვლელად, მაგრამ ამ საქმეში სწორედ ამ ასაკიდან უნდა ჩაებას !


...მერე კი, გამომუშავებული ფულის წყალობით, სახლში ხშირად ჩამოსვლას შეძლებს, თქვენც შეგეძლებათ ქვეყნიდან გასვლა და მასთან ჩასვლა...
ძინ ! ძინ !
გისმენთ ... რა? ეს შეუძლებელია ... ო, არა !
ჩემი ვარსკვლავი მოდელი ავად გამხდარა. ხვალ ჩემთან ერთად ფოტოსეანსზე მოემგზავრებოდა !
კარგი, აბა ხვალ გნახავ, ჩემო კარგო. დიდი მადლობა, ასე კარგად რომ მიმიღეთ.
ჩვენი ცხოვრება ბოლოს და ბოლოს შეიცვლება !


მოგზაურობის ფულს ვინ გადაიხდის...?
ნუ ღელავ, პირველი ჰონორარიდან დამიბრუნებ !


დიდი მადლობა, ჩემთვის და ჩემი ოჯახისათვის ამდენი რამ რომ გააკეთეთ...
ნუ ტირი, ჩემო პატარ-ავ. აჰა, აიღე, შენ მათ შორის ყველაზე ლამაზი უნდა იყო !
დოკუმენტები რომ არ მაქვს...
ნუ ღელავ ...
Passport
ძირს რექს !!!
დიდი მადლობა, ბატონო ჩემო...


მომეცი შენი დოკუ- მენტები, ბევრი ჯიბის ქურდია.
აქ დამიცადე !
Hôtel ★★★★
Hôtel ★★★★
უკაცრავად, ჩემო საყვა- რელო, მაგრამ სასტუმრო- ში ოთახი არა აქვთ...
ნუ გეშინია, ღამეს ჩემს მეგობართან გავათევთ, ის ფოტოგრაფია.
გამარჯობა, მიხაილ, ეს ტალინაა. ერთი ღამით ხომ ვერ შეგვიკედლებ ?
რა თქმა უნდა, მობრძან- დით !


კაკ კუკ
მოისვენეთ ...
სახელი და დიდება გველის, ჩემო მშვენიერო ! მოდი, ნუ დავაკარგავთ დროს!
მიირთვი, ეს გამო-გაცოცხლებს, ჩემო საყვარელო !
მოიცა, ჯერ არ დაგვი-მთავრებია, მოდი, საცდელი ფოტოები გადავიღოთ ... იქნებ ეს ჩაგეცვა და სახეზეც ცოტა კოსმეტიკა გეხმარა...
მშვენიერი ხარ, ჩემო საყვარელო !
ცოტა უფრო ახლოს მოდი და მომხიბლავად დადექი...


ნუ ჩამობტირის სახე !
თუ თავს ვერ აკონტროლებ, შეგიძლია უკან დაბრუნდე, სიღატაკეში !!!
რა ხდება ჩემს თავს, თავბრუ მეხვევა ...
კარგი, მოდი, ნუ დავტოვებთ ასე მწოლიარეს, საწოლში გადავაწვინოთ!
გმადლობთ ...


ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რომ აქედან გავაღწიო !
ბაკ - ბუკ
ბაკ - ბუკ!
აააავ!
როგორ ფიქრობ, სად მიდიხარ ?!
გამიშვით !!! უფლება არა გაქვთ !
ბუმ!
გარეთ მიდიხარ, დიახ, მაგრამ შენ ქუჩაში, ჩემთვის მიდიხარ, შენი მგზავრობის ფული რომ დამიბრუნო ... და თუ ისევ გაქცევას შეეცდები, არ დაგავიწყდეს, რომ ვიცი, შენი ოჯახი სად ცხოვრობს...




ვერასოდეს
გავუსწორებ ჩემს
მშობლებს თვალს ...
... ისე, თუ ვნახავ
მათ ოდესმე ?

ვაბია



# ფაბია

სიუჟეტი №2





გამარჯობათ, ქალბატონო, ეს ფაბიაა, რომ გიყვებოდით !
გამარჯობა, ფაბია, როგორც სონიამ მითხრა, ძალიან მშრომელი ყოფილხარ.
დიახ, ქალბატონო, სახლში ბევრ საქმეს ვაკეთებდი, მე 7 ძმა მყავს !
ძალიან კარგი, მაგრამ საქმე კარგად უნდა გააკეთო, თორემ შენს ხელფასს არ მივცემ დედაშენს, ასე ძალიან რომ სჭირდება ფული...
ძინ ძინ
შეიძლება, ფაბია რომ ჩემთან ერთად კინოში წამოვიდეს?
არა, მას ბევრი საქმე აქვს გასაკეთებელი ... ნუღარ შეგვაწუხებთ !!


22.40
როგორ გგონია, სუფრას ვინ მოემსახურება...?! ჩემი სტუმრები იცდიან !!!
03.27
მორჩი, პრინცესა !!!
ავ!
ავ!
არაფრის მაქნისო იდიოტო ! არაფრისთვის ვარგიხარ!!
ფაბია !!!
იცი, რა ღირს ეგ ყველაფერი? დღე და ღამე გამუშავებ, სანამ ბოლო კაპიკამდე არ გადამიხდი ყველაფერს !!
ჩქარა სარდაფში, იქ არის შენი ადგილი !!!




07.15
შენ კიდევ გძინავს ?! ... და, რაც მთავარია, თეთრეულში !!!
ნახე, რა უქენი თეთრეულს ! ახლა მხოლოდ თუ დაწვავს კაცი !!!
ეს ხომ ჭუჭყიანი თეთრეული იყო ...
თავხედო გომბიო ! იმიტომ აგიყვანე, რომ შენს საწყალ დედას და შვიდ ძმას დავხმარებოდი; ვუთხრა, რით მიხდი სამაგიეროს ?
ჯახ !
ძინ ძინ
არა, ქალბატონო, ყველაფერს გავაკეთებ, რასაც კი მოისურვებთ !
ახლავე საქმეს მიხედე ! და მეტი არაფერის ახლო ხელი...


დილა მშვიდობისა. ჩემი საფეხბურთო კლუბისთვის ბილეთებს ვყიდი...
გუშინ ხმაური შემომესმა, თითქოს ვიღაცეები ჩხუბობდნენ. რაიმე ხომ არ მოხდა ?
ეს ჩემი ძაღლი, პრინცესა თამაშობდა.
სად არის ის გოგონა, ფაბია, თქვენთან რომ მუშაობდა ?
შინ დაბრუნდა და შარშან ბავშვი ეყოლა.
გამარჯობა, ძვირფასო... რას აკეთებს აქ მარკი ?
ეეე...! უნდა წავიდე, გმადლობთ, ქალბატონო პოლბერგ




გამარჯობათ, პოლიციაა ? საშინელებაა, მეზობლად კაცი სარდაფშია ჩასული თავის შინამოსამსახურესთან ერთად, აუპატიურებს !
დარწმუნებული ხართ, რომ ეს მართლაც ასეა, სერ ?
დიახ, მას გოგონა სარდაფში ჰყავს ჩაკეტილი !!!
ახლავე მანდ გავჩნდებით !!!


POLICE
გააღეთ კარი! პოლიციაა!
არ გაინძრეთ ! დაპატიმრებული ხართ !
მე ვესაუბრები ქ-ნ ჟასმინს, იმ ასოციაციის პრეზიდენტს, რომელიც თანამედროვე მონობას ებრძვის. რა ბედი ელის ამ საწყალ გოგოს ?
ჩვენ მას აუცილებელ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ დახმარებას გავუწევთ და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გოგონა თავის ოჯახს დაუბრუნდეს ...


ნამდვილად გეხსომებათ ახალგაზრდა ფაბია, რომელიც ჰოლბერგებთან მონასავით მუშაობდა... ის ასოციაციის წევრებთან ერთად შინ, თავის ოჯახში დაბრუნდა. რაც შეეხება ჰოლბერგებს, ორივე მართლმსაჯულების წინაშე წარდგა. თუ გსურთ მოიძიოთ დამატებითი ინფორმაცია ადამიანებით ვაჭრობის შესახებ, შეგიძლიათ გაეცნოთ ევროპის საბჭოს ინტერნეტგვერდს:
www.coe.int/trafficking
Euro channel



# ივო

სიუჟეტი №3





გაყარეთ ეს უქნარები ჩემი სახლიდან !!!
აააააჰ!
აააააჰ!
ძალიან გთხოვთ ! ყველაფერს გავაკეთებ !!!
გამარჯობა, ძმაო, ეს ჯაში შენ გამოგადგება... თვეში 1000-ად შეგიძლია ამუშაო... გაწყობს ?
ჩემს ბიძაშვილთან ფერმაზე იმუშავებ. სატვირთო მანქანა განთიადზე გავა. რასაკვირველია, ბინის ქირას შენი ხელფასიდან ავიღებ !
გმადლობთ !!
ამათი გულისთვის გეხმარები, ამიტომ ნუ გამიცრუებ იმედს ნურც მე და ნურც სხვას... !




დაეწყვეთ !
თქვენი ხელები მაჩვენეთ !
თქვენ თალგამი უნდა კრიფოთ !


შე ყეყეჩო !!!
დაუმწიფებელ თალგამს კრეფ !!!!
ბოდიში, ჩემო ბატონო, არ ვიცოდი !
ამ კვირაში ყოველ საღამოს დამატებით 4 საათს იმუშავებ... ეს ჭკუას გასწავლის !


ეი შენ, ფულს ძილში კი არ გიხდიან !
იმედი მაქვს, ისინი კარგად არიან...


რას აკეთებ, 20 წუთია, შენ გიცდით !!
მე შენ გაგაღვიძებ, მაცადე ერთი !!!
ბუმ!


მოდი აქ, გაიტანე ეს ლეში !


და სოფია

# ანა და სოფია



სიუჟეტი №4

ორი და, ანა, 15 წლის, და სოფია, 19 წლის, წამოვიდა სახლიდან: ისინი დედაქალაქში მიმტანის სამუშაოს შოვნის დაპირებამ მიიზიდა, მაგრამ სინამდვილეში მათ საროსკიპოში მოხვედრა ელით.






სოფია, მეშინია, მიშველე რამე !
ანა ! მოდი აქ !
ამ ბატონს გვერდით ოთახში წაჰყევი !
ეი, შენ ! რას უდგახარ, წადი ახლავე მე-11 ოთახში, კლიენტი გელოდება !
მოდი აქ !


ააააჰ!
კაკ - კუკ!
კაკ - კუკ!
ანა !!
რა ხდება ?!
თავი დაანებეთ ჩემს დას, ის ხომ ბავშვია !!!
ნახავთ, რა დღეს ვაყრით თქვენნაირ თავზე ბომბიოებს !


SHLIIIING!!
აააააჰ!
დროა, ზოგიერთი გოგო თავიდან მოვიცილოთ... ამაღამ მაქსს ვხვდებით. იმედი მაქვს, კარგ ფასს გამოვტყუებ...
1 წლის შემდეგ...
მე პატარა წითურს და შავთმიანს წავიყვან !
არა !!
სოფია !!!



**გაფორმება:**
The Big Family

*

**ილუსტრაციები:**
მელინდა ჟულიენი

*

**ტექსტი:**
პამელა გონსალესი და
მელინდა ჟულიენი

ადამიანის უფლებათა გენერალური დირექტორატი
ევროპის საბჭო
F-67075 Strasbourg cedex

© ევროპის საბჭო 2006